ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 220

(გამარტივებული შესყიდვა მთავრობის 2014 წლის 16 მაისის N860 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს პრემიერ მინისტრის 2014 წლის 19 მაისის N142 ბრძანების შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3-ე პუნქტის "დ" ქვეპუნქტი)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2014 წლის 22 მაისს ქ. თბილისში.

შემსყიდველი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის ნინო მურჯიკნელის სახით.

მისამართი: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქუჩა №12, ტელეფონი 299-10-76

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა №200122900, ს/კ 203840433

მიმწოდებელი: შპს "E2E4"

საინდეტიფიკაციო კოდი: 404398120

მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N 12

ხელმძღვანელი: დირექტორი თეონა პაიჭაძე

საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი TBCBGE22; ანგარიშის № GE48TB7465736080100001.

ერთი მხრივ – **შემსყიდველი**, და მეორე მხრივ – **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" –პირი, რომელიც ახორციელებსსაქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში საინფორმაციო-სარეკლამო პროდუქტის შესყიდვა (CPV-39294100).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: **3,000.00 ლარი.**

სამი ათასი ლარი და 00 თეთრი

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

3.1.1 ერთეულის ღირებულება შეადგენს 375.00 (სამას სამოცდათხუთმეტი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს მიაწოდოს რვა ცალი რკინის კონსტრუქცია ბანერით (ზომა 3მX1.2მ) ორმხრივი, ფეხზე დასადგმელი, 2014 წლის 26 მაისს დაგეგმილ ღონისძიებასთან დაკავშირებით.

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება.

შემოსავლებისა და ბიუჯეტის დეპარტამენტი
22. 05 2014 წ.
ფურცელი

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისგან მოითხოვოს საქონლის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას;

ბ) შეამოწმოს საქონლის ხარისხი.

გ) მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

5. ხარისხი

5.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის შემოწმება და თუ აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს აღნიშნული საქონელი ან დაუბრუნოს შემსყიდველს მისი ღირებულება

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს თეა ბოლქვაძეს, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება.

6.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი უნაკლო საქონელის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს საქონელთან ერთად წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია. ანგარიშსწორების სავალდებულო წინაპირობა მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად არის სასაქონლო ზედნადები და ანგარიშ-ფაქტურა (თუ არ არის დღგ-ს გადამხდელი წარმოადგინოს ცნობა).

6.5 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს თეა ბოლქვაძეს.

7. ანგარიშსწორების წესი

7.1 საქონლის მიწოდების ანაზღაურება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 6.4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;

7.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

8. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

8.1 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, შოთა რუსთაველის გამზირი.

8.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან **2014 წლის 26 მაისის ჩათვლით.**

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2014 წლის 25 ივნისის ჩათვლით.**

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

10.3 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტერიის
დეპარტამენტი
22. 05 2014 წ.
ფურცელი

10.4 არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს უხარისხო საქონელის მიწოდება. ამასთან, არაჯეროვნად გაწეულად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნაკისრი აქვს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით, გარდა 10.5. პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

10.5 მიმწოდებლის მიერ დაგვიანებით შესრულებას წარმოადგენს საქონელის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევა, რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.7 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა ნების გამოვლენასთან, შეცდომებსა და დაუდევრობასთან და გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ან/და გამოწვეულია დაუძლეველი ძალის დადგომით, ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას როგორც ფორს–მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.

11.3 ხელშეკრულების მიზნებისათის „ფორს–მაჟორად" მიჩნეული შეიძლება იყოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, კარანტინი, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და სხვა.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით და ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.2 ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

14. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი ნინო მურჯიკნელი	**შპს "E2E4" დირექტორი თეონა პაიჭაძე**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA
204038043 3
404398120
GEORGIA. "E2E4" LTD
ამონაწერია ორიგინალიდან
დეპარტამენტში
22. 05. 2014 წ.
3 ფურცელი

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№860 2014 წლის 16 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების უზრუნველყოფის შესახებ

1. „2014 წელს განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების დაგეგმვის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №669 განკარგულების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმა (შემდგომში - სამოქმედო გეგმა).

2. სამოქმედო გეგმის დამტკიცების უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

3. ეთხოვოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ თვითმმართველ ერთეულებს კომპეტენციის ფარგლებში სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელმა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შესაბამისი საქონლის ან/და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

10339/05
20 05

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 142 2014 წლის 19 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 მაისის №860 განკარგულების შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმა.

ირაკლი ღარიბაშვილი

10333/05
20 05 2014
7

დამტკიცებულია
საქართველოს პრემიერ-მინისტრის
2014 წლის 19 მაისის
№112 ბრძანებით

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმა

ღონისძიების დასახელება	ღონისძიებაზე პასუხისმგებელი უწყება
საზეიმო ღონისძიებაში მოწვეული სტუმრებისათვის საშვების, ღონისძიების ოფიციალური პროგრამის და მოსაწვევების დამზადება	საქართველოს მთავრობის კანცელარია
საზეიმო ღონისძიების რეჟისურისა და დიზაინის უზრუნველყოფა	საქართველოს მთავრობის კანცელარია
საზეიმო ღონისძიება თავისუფლების მოედანზე; ტრიბუნებისა და სცენის აწყობა; სცენის შეფუთვა; ტანკებისა და სხვა ჯავშანტექნიკის გამოფენა; ირიკეზების გადაფრენა დროშებით; ფლეშმობი დროშებით სამხედრო ორკესტრის თანხლებით; ვერტმფრენის გადაფრენა და ფლაერების ჩამოყრა; ფლაერის დაბეჭდვა; ფიცის ცერემონიალზე მოსაწვევების დაბეჭდვა-დარიგება	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
საქართველოს შინაგან საქმეთა	საქართველოს შინაგან საქმეთა

სამინისტროს საინფორმაციო ბანერების უზრუნველყოფა	სამინისტრო
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის მიერ მიწოდებული სერვისების სადემონსტრაციო პავილიონის მოწყობა	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და მის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების საქმიანობის საზოგადოებისათვის ინფორმირება-პოპულარიზაციის მიზნით შესაბამისი პავილიონების მოწყობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი უწყებები
ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე სასწავლო პროცესის ამსახველი მასალის დემონსტრირება; განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, განათლების ხელმისაწვდომობისა და განათლების გარემოს საილუსტრაციო ღონისძიებების ორგანიზება; ბარმენების შოუს მოწყობა; დოკუმენტური მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება; კულინარიული კერძების მომზადება; წამახალისებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

თემატური შეჯიბრებების ჩატარება	
საზეიმო ღონისძიება რუსთაველის გამზირზე; პარლამენტის წინ სცენის აგება-შეფუთვა; პროგრამის სრულყოფილად უზრუნველყოფა 12:00-დან 21:00-მდე; ოპერის წინ მხატვრების განლაგება; რუსთაველის გამზირზე მოსიარულე პანტომიმისა და სხვადასხვა თეატრის მსახიობების მობილიზება; მომღერალი ბავშვებით მოძრავი პატარა მატარებელი რუსთაველის გამზირზე; მოძრაობის თეატრის მინიწარმოდგენების უზრუნველყოფა	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საზეიმო ღონისძიება ევროპის მოედანზე; სცენის აგება-შეფუთვა	ქ. თბილისის მერია
ქალაქის ქუჩებისა და ღონისძიებაში მონაწილე სატრანსპორტო საშუალებების გაფორმება დროშებითა და ბანერებით; ჯებირებისა და დენის წყაროებით უზრუნველყოფა ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე	ქ. თბილისის მერია
თავისუფლების მოედნისა და რუსთაველის გამზირის მიმდებარე ტერიტორიებზე ბიოტუალეტების დაყენება	ქ. თბილისის მერია

ქალაქების (ზუგდიდი, ფოთი, თელავი, ახალციხე, ოზურგეთი, გორი, მცხეთა, რუსთავი, ბათუმი, ქუთაისი, ამბროლაური) ქუჩებისა და საკონცერტო სცენების მორთვა-გაფორმების უზრუნველყოფა; თბილისში სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზება სამინისტროს პროგრამის შესაბამისად	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
ქალაქების (ზუგდიდი, ფოთი, თელავი, ახალციხე, ოზურგეთი, გორი, მცხეთა, რუსთავი, ბათუმი, ქუთაისი, ამბროლაური) სცენებით, ტექნიკური აპარატურითა და კულტურული პროგრამით უზრუნველყოფა	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო/საქართველოს მთავრობის კანცელარია/შესაბამისი თვითმმართველი ერთეულები/საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
საორგანიზაციო ჯგუფის რაციებით უზრუნველყოფა; ხალხმრავალ ადგილებში წესრიგის უზრუნველყოფა	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში საორგანიზაციო ჯგუფის ლოკაციის ადგილის უზრუნველყოფა	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
„ყვავილების ფესტივალი“ თბილისის კლასიკური გიმნაზიის წინ და შარდენზე, ბამბის რიგში	ქ. თბილისის მერია

რუსთაველის გამზირისა და თავისუფლების მოედნის გადაკეტვა 25.05.14 08:00 სთ-დან	ქ. თბილისის მერია/საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
სსიპ - თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში კლასიკური მუსიკის კონცერტი 26 მაისის ღონისძიებაზე მოწვეული ოფიციალური სტუმრებისათვის; მოსაწვევების დაბეჭდვა-დარიგება; კონცერტის პროგრამის დაბეჭდვა-დარიგება	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო/საქართველოს მთავრობის კანცელარია
ოფიციალური მიღება/ვახშამი ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრებისათვის	საქართველოს მთავრობის კანცელარია
ღია ავტობუსი მომღერლებით, რომელიც ივლის რუსთაველის გამზირზე; ავტობუსის შეფუთვა სადღესასწაულო ლოგოთი	ქ. თბილისის მერია/საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
სამინისტროების საინფორმაციო და გასართობი კუთხეების მოწყობა რუსთაველის გამზირზე კონკრეტულ ლოკაციებზე; ტენტებით უზრუნველყოფა	საინფორმაციო-გასართობ ნაწილში პასუხისმგებელია ინდივიდუალურად ყველა სამინისტრო, ტენტების ნაწილში - ქ. თბილისის მერია
სოფლის მეურნეობის სფეროში განხორციელებული და მიმდინარე პროექტების საინფორმაციო მხარდაჭერისა და ქართული	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით შესაბამისი სივრცის მოწყობა რუსთაველის გამზირზე	
საზეიმო ღონისძიებების პირდაპირ ეთერში ტრანსლირება	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი
სადღესასწაულო ფეიერვერკი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საზეიმო კონცერტი რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ 21:00-დან	ქ. თბილისის მერია